

შპს სანა

ცალკეული ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის
ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ცალკეული ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ცალკეული ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-4
ცალკეული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის:	
ცალკეული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ცალკეული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
ცალკეული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	7
ცალკეული ნაკადების ანგარიშგება	8
ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9-32
1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. შესაბამისობის ანგარიში	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	11
4. კრიტიკული შეფასებები და შეფასებების განუსაზღვრელობის უმთავრესი წყაროები	19
5. მოგების გადასახადის ხარჯი	20
6. წინა წლის შეცდომების გასწორება	20
7. შემოსავალი	21
8. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	22
9. მიწოდებისა და მომსახურების ხარჯები	22
10. მოგება (ზარალი) სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	22
11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	23
12. მარაგები	23
13. ფული და ფულის ექვივალენტები	23
14. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება	24
15. ძირითადი საშუალებები	25
16. გაცემული სესხები	26
17. მიღებული სესხები	26
18. საწესდებო კაპიტალი	26
19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27
20. პირობითი ვალდებულებები	27
21. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	28
22. რეალური ღირებულების განსაზღვრა	28
23. ფინანსური ინსტრუმენტები	29
24. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	31

შპს სანა

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ცალკეული ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ცალკეული ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „სანა“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ცალკეული ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ცალკეული ანგარიშის მოსამზადებლად.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ცალკეული ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ცალკეული ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- მმართველობის ცალკეულ ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ცალკეული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 7 სექტემბერს.

სოფიო მინდელი
დირექტორი

2021 წლის 7 სექტემბერს
საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს სანნა-ს მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს სანნა-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ცალკეული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ცალკეული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე ცალკეული სრული შემოსავლის, ცალკეული საკუთარი კაპიტალის ცვლილების და ცალკეული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ასევე ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვას (ერთობლივად „ცალკეული ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, ცალკეული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ცალკეულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის ცალკეულ შედეგებსა და ფულადი ნაკადების ცალკეულ მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა სხვა ეთიკურ მოთხოვნებს პბეკ კოდექსის სტანდარტებით. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. მმართველობის ანგარიშგება მოგვეწოდება წინამდებარე აუდიტორული დასკვნის გამოცემის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ინფორმაციას არ მოიცავს და მასზე რაიმე სახის თვალსაზრისს არ გამოვხატავთ.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებულ ინფორმაციასთან არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი.

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა ვალდებულია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ცალკეული ფინანსური ანგარიშგება ფასის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებად საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ცალკეული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გაცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამოხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე მოსაზრების გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის აღრიცხვის წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ცალკეული ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ცალკეული ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ცალკეული ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ცალკეული ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ცალკეულ ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობის ცალკეულ ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს "ეშუარენს ენდ ქონსალტინგ გრუფის" სახელით
კახაბერ თეთრუაშვილი

2021 წლის 7 სექტემბერს
თბილისი, საქართველო

შპს სანა

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 ათას ლარში

	შენიშვნა	2020	2019
			*Restated
შემოსავალი	5	17 895	22 457
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(9 391)	(13 996)
მთლიანი მოგება		8 505	8 461
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	7	(5 010)	(4 772)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2 287)	(2 610)
ფინანსური ხარჯი		(782)	(806)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	9	(2 272)	(178)
სხვა საოპერაციო შემოსავალი, წმინდა		432	145
ფინანსური შემოსავალი		392	344
მოგება გადასახადებამდე		(1 022)	585
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		(1 022)	585
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		(1 022)	585

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2021 წლის 7 სექტემბერს:

სოფიო მინდელი
 დირექტორი

შპს სანა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ათას ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 *Restated	31 დეკემბერი 2018
აქტივები				
<i>გრძელვადიანი აქტივები:</i>				
აქტივის გამოყენების უფლება	10	6 419	4 298	-
ძირითადი საშუალებები	11	1 594	1 746	914
არამატერიალური აქტივები		81	83	36
გაცემული სესხები	12	5 439	4 440	3 215
სულ გრძელვადიანი აქტივები		13 533	10 567	4 165
<i>მიმდინარე აქტივები:</i>				
მარაგები	14	4 131	3 798	3 632
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		155	277	446
წინასწარ გაწეული ხარჯები		3	102	-
საგადასახადო მოთხოვნები		403	224	266
ფული და ფულის ექვივალენტები	15	1 086	116	624
სულ მიმდინარე აქტივები		5 777	4 517	4 968
სულ აქტივები		19 310	15 084	9 133
კაპიტალი და ვალდებულებები				
<i>კაპიტალი:</i>				
საწესდებო კაპიტალი		98	502	502
გაუნაწილებელი მოგება		1 454	2 476	2 144
სულ კაპიტალი		1 552	2 977	2 646
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები:</i>				
აღებული სესხები		7 849	5 688	2 274
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7 849	5 688	2 274
<i>მიმდინარე ვალდებულებები:</i>				
საიჯარო ვალდებულებები	16	7 732	4 330	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	2 175	1 999	1 888
ავანსები		3	89	350
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
აღებული სესხები	17	-	-	1 974
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		9 909	6 418	4 212
სულ ვალდებულებები		17 758	12 106	6 486
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		19 310	15 084	9 133

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2021 წლის 7 სექტემბერს:

 სოფიო მინდელი
 დირექტორი

შპს სანა

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ათას ლარში

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2018		502	2 144	2 646
სულ წლის სრული შემოსავალი		-	617	617
გადაანგარიშგების ეფექტი		-	(32)	(32)
გადახდილი დივიდენდები		-	(254)	(254)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019		502	2 476	2 977
სულ წლის სრული შემოსავალი		-	(1 022)	(1 022)
კაპიტალის შემცირება		404	-	404
გადახდილი დივიდენდები		-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2020		98	1 454	1 552

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2021 წლის 7 სექტემბერს:

 სოფიო მინდელი
 დირექტორი

შპს სანა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

	შენიშვნა	2020	2019 *Restated
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება გადასახადების მერე		(1 022)	585
არაფულადი კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		1 806	1 223
მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოთხოვნების რეზერვი		-	-
საკურსო ზარალი/მოგება		2 272	178
საპროცენტო ხარჯი		782	482
საპროცენტო შემოსავალი		(394)	(344)
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		3 444	2 123
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		122	(169)
წინასწარ გაწეული ხარჯების ზრდა		99	102
მარაგების ზრდა		(333)	166
საგადასახადო მოთხოვნების ზრდა		(178)	(42)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		(378)	(44)
მიღებული ავანსების ზრდა		(87)	261
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფული		2 690	2 397
გადახდილი პროცენტი		(414)	(482)
მიღებული პროცენტი		394	47
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფული		2 669	1 963
შემოძინებული ფული საინვესტიციო საქმიანობიდან			
კაპიტალის შემცირება		(404)	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		(9)	(54)
ძირითადი საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(1 039)	(1 041)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		(394)	-
გაცემული სესხი		-	710
გამოყენებული ფული საინვესტიციო საქმიანობაში		(960)	(385)
ფულის ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის დაფარვა		(989)	(992)
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯის დაფარვა		(367)	(162)
სესხების აღებით მიღებული თანხები		1 907	(9 763)
სესხების გადახდა		(1 248)	8 579
გადახდილი დივიდენდი		-	254
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფული		697	(2 085)
წმინა ზრდა ფულის და ფულის ექვივალენტებში		1 012	(507)
ფული და ფულის ექვივალენტების ნაშთი წლის დასაწყისში		116	624
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი		(42)	(1)
ფული და ფულის ექვივალენტების ნაშთი წლის ბოლოს		1 086	116

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2021 წლის 7 სექტემბრის:

სოფიო მინდელი
დირექტორი

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სანნა („კომპანია“) დაარსდა 2016 წლის 12 დეკემბრის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საყოფაცხოვრებო საქონლის იმპორტი და რეალიზაცია, როგორებიცაა ლეიბები, ავეჯი და ინტერიერის გაფორმება. შპა სანნას ძირითადი მომწოდებელია ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ფარგლებში დანიური კომპანია JYSK.

JYSK ბრენდის სახელწოდებით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფუნქციონირებდა ოთხი მაღაზია თბილისში და ბათუმში და ონლაინ მაღაზია.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი იყო საქართველოს მოქალაქე ბატონი დავით ოტიაშვილი.

კომპანიის მისამართია აღმაშენებლის გამზ. #158, თბილისი, საქართველო.

კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა შესაბამისად 160 და 130 კაცს.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. შესაბამისობის ანგარიში

მომზადების საფუძვლები. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

2019 წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- ფასს 16 - იჯარა;
- ფასს 9 (შესწორება) - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით;
- ბასს 28 (შესწორება) - ინვესტიციები მცავშირე და ერთობლივ საწარმოებში;
- ფასს წლიური გაუმჯობესების 2015-2017 ციკლი;
-
- ბასს 19 (შესწორება) - დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები;
- ფასიკ 23 - მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა.

კომპანიამ ფასს 16 პირველად გამოიყენა. ახალი სტანდარტების გამოყენებით გამოწვეული ცვლილებების ეფექტი და შინაარსი აღწერილია ქვემოთ.

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 „იჯარა“ ანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს, 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის. კომპანიისათვის ფასს 16-ის საწყისი

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

გამოყენების თარიღი არის 2019 წლის 1 იანვარი. კომპანიამ გადაწყვიტა, ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით გამოიყენოს, რაც ფასს 16: C5(6) შესაბამისია. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველ დღეს, გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები საიჯარო ვალდებულებას წარმოადგენს. ცვლადანაზღაურებიანი აქტივებისა და 12 თვეზე ნაკლები საკონტრაქტო ვადიანობის აქტივების შემთხვევაში, კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული გამონაკლისის საშუალება და იჯარას არ აღიარებს. კომპანია შეჯამებულ ინფორმაციას არ გადააფასებს. კომპანია გამოიყენებს ფასს 16-ზე გადასვლისას შესაძლებელ პრაქტიკულ გამონაკლისს და არ გადააფასებს, არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან მოიცავს თუ არა იგი იჯარას.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების ბუღალტრული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16 მნიშვნელოვნად არ ცვლის ბასს 17-ის მოთხოვნებს და აძლევს საშუალებას იჯარის გამცემს იჯარა ან საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად ჩაითვალოს.

კომპანიამ შეჯამებითი ინფორმაცია არ გადააფასა და კვლავაც უზენეეს მას ბასს 17-ის შესაბამისად. ფასს 16-ის გამოყენებით გამოწვეული სხვაობები პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში აისახა.

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს 16-ის მიღებას კომპანიის გაუნაწილებელ მოგებაზე ეფექტი არ ქონია. 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუფასებია ფასს 16-ის გამოყენების ეფექტი.

კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები²;
- ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორება)⁴;
- ფასს 3 საწარმოთა გაერთიანება (შესწორებები) - საწარმოს განმარტება¹;
- ბასს 1 და ბასს 8 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორებები) - მასალის განმარტება¹;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2010-2012 წწ. ციკლი - მიმდინარე და არამიმდინარე ვალდებულებების კლასიფიკაცია³;
- ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7 (შესწორებები) - საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებლის რეფორმა და მისი შედეგები ფინანსურ ანგარიშგებაზე¹.

¹ ძალაშია 2020 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

² ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

³. ძალაშია 2022 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

⁴. სტანდარტების საბჭოს ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, შესწორებათა ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი

ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში („ლარი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

კომპანიამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა იმავე საფუძველზე, რომელზეც მომზადდა წინამდებარე ანგარიშგება. აღნიშნული დოკუმენტის ასლი ხელმისაწვდომია კომპანიის ოფისში, მისამართზე - საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი #30, ბ 31.

გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემისა, კომპანიამ, ბასს 27 „კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგებები“ და ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, გადაწყვიტა, წარმოადგინოს ცალკეული ფინანსური ანგარიშგება. წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია კომპანიის დამოუკიდებელი ფინანსური მდგომარეობის და ფინანსური შედეგების შეფასების მიზნით და, ამდენად, არ მოიცავს კომპანიის შვილობილი კომპანიებისა და ასოცირებული პირების კონსოლიდაციას.

წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების კონცეფციის საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით შეფასებული გამჟღავნების მიზნებისთვის წარმოდგენილი გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საჭონისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის რეალური ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლებიც მეშვეობითაა დგინდება რეალური ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ელემენტები აღრიცხულია კომპანიის საოპერაციო ეკონომიკური გარემოს პირველად ვალუტაში („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ცალკეული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა ლარი. ყველა თანხა უახლოეს ათასამდეა დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

შვილობილი კომპანია არის პირი, რომელზეც კომპანიას გააჩნია კონტროლი. კონტროლი არსებობს მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს უფლება, მიიღოს ცვლადი ხასიათის უკუგება ინვესტირების ობიექტთან ურთიერთობის შედეგად და აქვს უნარი, ზეგავლენა მოახდინოს ამ უკუგებაზე ინვესტირების ობიექტზე არსებული ძალაუფლების შედეგად.

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აისახება თვითღირებულებით. შვილობილი კომპანიებიდან ან ასოცირებული პირისგან მიღებული დივიდენდები კომპანიის ფინანსური ინფორმაციის მოგება-ზარალის ანგარიშში აღიარდება მაშინ, როდესაც განისაზღვრება დივიდენდის მიღების უფლება.

იმის განსასაზღვრად, არის თუ არა აუცილებელი გაუფასურების ზარალის აღიარება შვილობილ კომპანიაში ინვესტიციასთან დაკავშირებით, გამოიყენება ბასს 39-ის მოთხოვნები. როდესაც ეს აუცილებელია, ინვესტიციის მთლიანი საბალანსო ღირებულება (გუდვილის ჩათვლით), როგორც ერთი მთლიანი აქტივი, გაუფასურებაზე მოწმდება ბასს 36 „აქტივების გაუფასურება“ მიხედვით - მისი აღდგენადი ღირებულების (გამოყენებულ ღირებულებასა და სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას შორის უდიდესი ღირებულება) შედარებით მის საბალანსო ღირებულებასთან. აღიარებული გაუფასურების ზარალი წარმოადგენს ინვესტიციის საბალანსო ღირებულების ნაწილს. ამ გაუფასურების ზარალის აღდგენა ასევე აღიარდება ბასს 36-ის თანახმად - ინვესტიციის აღდგენადი ოდენობის შემდგომი გაზრდით.

ინვესტიციები ასოცირებულ პირებში

ასოცირებული პირები არიან კომპანიები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან არაპირდაპირ), მაგრამ არა კონტროლი, რომელიც ჩვეულებრივ თან ახლავს ხმის უფლებების 20-50 პროცენტის ფლობას.

კომპანიის ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები ასოცირებულ პირებში აღიარდება თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. ამ გაუფასურების ზარალის აღდგენა აღიარდება ბასს 36-ის თანახმად - ინვესტიციის აღდგენადი ოდენობის შემდგომი გაზრდით.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა თანხით აისახება ცალკეული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ხარჯები შემოსავლიდან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ იქვითება, თუ ამის ვალდებულებას ან უფლებას რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია არ აწესებს ან არ არის განმარტებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ.

შემოსავლის აღიარება

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალს აკლდება საქონლის დაბრუნების, ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი შეღავათების სავარაუდო ღირებულება.

საქონლის რეალიზაცია

საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება საქონლის მიწოდებისა და მასზე უფლებების გადაცემის შემდეგ, ყველა ჩამოთვლილი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანია აღარ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ხარისხის მენეჯერულ მონაწილეობას ან მასზე ეფექტურ კონტროლს;
- შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება კომპანია; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ლარი /1 აშშ დოლარი	3.2766	2.8677
ლარი /1 ევრო	4.0233	3.2095

გადასახადები

მოგების გადასახადები

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით განაწილდებოდა.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ კომპანიაში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება კომპანიაში „გადასახადები და მოსაკრებლები“.

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, კომპანიამ შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება მოგების მიღების მომენტში და მოგების გადასახადს დაარიცხავს მოგების განაწილების შემთხვევაში. ყველა გადავადებული საგადასახადო ბალანსი გამოთავისუფლდა და აისახა 2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემნილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთა ან/და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება-შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში მათი გაწევის დროს.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ახორციელებს აღდგენის თანხის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების კომპანიაში.

საწარმოო, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნით მშენებარე უძრავი ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების აღიარებული ზარალის გამოკლებით. თვითღირებულებაში შედის პროფესიული ჰონორარები, ხოლო კვალიფიციური აქტივებისათვის - კომპანიის საღირცხვო პოლიტიკის შესაბამისად კაპიტალიზებული სესხის აღების ხარჯები. ამგვარი უძრავი ქონება ძირითადი საშუალების შესაბამის კატეგორიად კლასიფიცირდება დასრულებისა და გამიზნული მოხმარებისათვის გამზადების შემდეგ. ამ აქტივების ცვეთა, სხვა უძრავი აქტივების მსგავსად, იწყება მათი გამიზნული მოხმარებისათვის გამზადების შემდეგ.

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება ნაშთის შემცირებადი მეთოდით:

შენობა-ნაგებობები	5%-15%
კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობები	8%-20%
ავტო და ოფისის აღჭურვილობა	20%
მანქანა-დანადგარები	15%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20%
სხვა	20%

როდესაც ძირითადი საშუალების აღიარება უქმდება რეალიზაციისას ან მაშინ, როდესაც ამ აქტივის მოხმარებით ეკონომიკური სარგებლის მიღება ნაკარაუდვეი აღარაა. ნებისმიერი მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციის ან ჩამოწერის შედეგად განისაზღვრება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო ღირებულების მეთოდით და მოიცავს მარაგების ყიდვასა და ადგილზე მიტანისას გაწეულ ხარჯებს. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი ტერმინები

მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გაანგარიშებისას, გაზომვის დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედი ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა პირველი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება პირველ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კვოტირდება, თუ კვოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს.

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელდებოდა. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს და გასხვების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელებზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ❖ ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

- ❖ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

კომპანიის ბიზნეს-მოდელის შეფასება მოხდა ფასს 9-ის პირველი გამოყენების დღის, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და მისი ოპერაციები მიზნად ისახავს საქონლის და სერვისის გაყიდვით სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას. ეს კომპანიის მთავარი ამოცანა და მისი რეგულარული საქმიანობაა. ისტორიულად კომპანიას კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყიდა. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ისინი პირველი ბიზნეს-მოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა“ (H2C) კლასიფიცირდება. კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (1) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (2) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად გაყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე პირზე ამ გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებები შეფასების შემდეგ კატეგორიებად იყოფა: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომლებშიც ასევე შედის ფინანსური წარმოებულები და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია.

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები (მათ შორის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ბალანსები ბანკებში და ნაღდი ფული) აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (მსდ) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებული მაჩვენებლით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამაძლიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსდ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო დანაკარგებისათვის (12 თვიანი მსდ). ისეთი კრედიტებისათვის, რომელთა შემთხვევაში საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსდ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში კომპანიაში 12 თვიანი მსდ იქმნება.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, კომპანია მსდ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, კომპანია საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვის ანარიცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსდ არსებობის მანძილზე. კომპანია შექმნა რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიულ საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებას ეფუძნება და ისეთი ფორვარდული ფაქტორებით კორექტირდება, რომელიც მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოს სპეციფიკურია.

ყველა შემთხვევაში კომპანია მიიჩნევს, რომ 30 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული საკონტრაქტო გადახდები წარმოადგენს საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება, სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება კომპანიის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად

კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ასევე ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით. კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა აღიარდება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში. კომპანიის საკუთარი ინსტრუმენტების შესყიდვაზე, გაყიდვაზე, გამოშვებასა თუ გაუქმებაზე მოგება-ზარალში არაფერი აღირიცხება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებს და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

4. კრიტიკული შეფასებები და შეფასებების განუსაზღვრელობის უმთავრესი წყაროები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

შეფასებათა განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ქვემოთ ჩამოთვლილია მომავალთან დაკავშირებული ის ძირითადი დაშვებები და შეფასებათა განუსაზღვრელობის სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლებსაც პოტენციურად შეუძლია აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მნიშვნელოვანი კორექტირების გამოწვევა მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადა

ძირითადი საშუალების ერთეულის სასარგებლო მოხმარების ვადა დგინდება ხელმძღვანელობის შეფასებით და ეფუძნება მსგავს აქტივებზე არსებულ გამოცდილებას. მხედველობაში მიიღება მოსალოდნელი გამოყენების ფორმა, მოსალოდნელი ტექნიკური დამკვლევა, ფიზიკური ცვეთა და ოპერირების ფიზიკური გარემო. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კორექტირებები გაუფასურების სამომავლო მაჩვენებლებში.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი

კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდიფიცირება.

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა

საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა დიდწილად ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული და შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან. საგადასახადო შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს საგადასახადო შემოწმების წლამდე სამი კალენდარული წლის ტოლი ფისკალური პერიოდები. გარკვეულ ვითარებაში, შემოწმებამ შეიძლება მოიცვას უფრო დიდი პერიოდიც. ამოსაღება თუმცა, კომპანია დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით გაგების საფუძველზე, ზემოაღნიშნულს შეუძლია კომპანიისათვის დამატებითი ფინანსური რისკების შექმნა.

5. მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის მასამდე კომპანია მიმდინარე მოგების გადასახადის გადასახდელებს, აქტივებსა და ვალდებულებებში მათ საგადასახადო ბაზისს ანგარიშობდა და აღრიცხავდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, რომლებიც ფასს-ს ყოველთვის არ ემთხვეოდა. 2016 წლის მასში საქართველოს პარლამენტმა მიიღო, ხოლო პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კორპორაციული საგადასახადო კოდექსის ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. კოდექსი ქართულ კომპანიებსა და რეზიდენტი კომპანიების მუდმივ წარმომადგენლობებზე, აგრეთვე გარკვეულ საფინანსო ინსტიტუტებზე ვრცელდება. წინა საგადასახადო რეჟიმი, რომლის მიხედვით, კომპანიები წლიური დასაბეგრი მოგების მიხედვით იხდიდნენ გადასახადს, ჩანაცვლდა სისტემით, რომლის მიხედვით გადასახადის გადახდა მოხდება მხოლოდ კორპორაციული მოგების განაწილების შემთხვევაში.

აღნიშნულმა ცვლილებამ მყისიერი ეფექტი იქონია კომპანიის გადავადებულ გადასახადზე, რადგან გაქრა დროებითი სხვაობები გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზისებს შორის.

6. წინა წლის შეცდომების გასწორება

2019 წლის განმავლობაში მენეჯმენტმა დაადგინა, რომ წინა წლებში იჯარის ვალდებულება და სარგებლობის უფლებით აქტივი არ არის აღიარებული ფასს 16-ის მიხედვით "ლიზინგი", შეცდომების გამოსწორებამ გავლენა იქონია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე და მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე და სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალზე.

ბასს 8 -ის შესაბამისად "საბუღალტრო პოლიტიკა, ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის შეფასებებში და შეცდომები", შეცდომა ხელახლა ხდებოდა რეტროსპექტულად, როგორც ეს მოცემულია ქვემოთ ('000):

გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 31.12.2019

	31 დეკემბერი 2019	ცვლილების გავლენა 2019	* Restated 31 დეკემბერი 2019
აქტივის გამოყენების უფლება	-	4 298	4 298
საიჯარო ვალდებულება	-	4 330	4 330
დაგროვილი მოგება	2 508	(32)	2 476

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

გავლენა მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე 31.12.2019

	31 დეკემბერი 2019	ცვლილების გავლენა 2019	* Restated 31 დეკემბერი 2019
მიწოდებისა და მომსახურების ხარჯები	4 920	(148)	4 772
ფინანსური ხარჯი	644	162	806
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	161	17	178

გავლენა ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე 31.12.2019

	31 დეკემბერი 2019	ცვლილების გავლენა 2019	*Restated 31 დეკემბერი 2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	434	1 529	1 963
ფულის ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან	930	(3 014)	(2 084)

7. შემოსავალი

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ავეჯი	8,711	11,418
აბაზანა	876	917
ტექსტილი	4,151	5,027
მატრასი	564	787
აქსესუარები	3,475	4,146
სხვა	119	161
სულ	17 896	22 456

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

8. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ავეჯი	4,867	7,714
აბაზანა	404	486
ტექსტილი	2,011	2,816
მატრასი	290	458
აქსესუარები	1,732	2,398
სხვა	87	123
სულ	9 391	13 996

9. მიწოდებისა და მომსახურების ხარჯები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	1 490	1 007
საიჯარო ხარჯი	1 034	2 443
როიალტი	1 573	1 573
ხელფასის ხარჯი	363	435
მარკეტინგული ხარჯი	337	297
საბანკო ხარჯი	212	248
სხვა ხარჯი	-	-
სულ	5 010	6 003

10. მოგება (ზარალი) სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დადებითი საკურსო სხვაობა	(2 361)	(897)
უარყოფითი საკურსო სხვაობა	4 633	1 076
სულ	2 272	179

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ხელფასის ხარჯი	1 573	1 655
ცვეთა და ამორტიზაცია	316	216
მივლინების ხარჯები	23	95
სამეურნეო ხარჯები	31	23
პროფესიული ხარჯები	45	36
წარმომადგენლობითი ხარჯები	13	25
მომსახურება ფიზიკური პირებისგან	9	56
საბანკო ხარჯი	-	38
საიჯარო ხარჯი		
სხვა ხარჯი	37	30
კომუნიკაციის ხარჯები	26	26
ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა	17	28
დაზღვევის ხარჯი	57	44
საკანცელარიო ხარჯი	-	12
საწვავის ხარჯი	23	56
სხვა საგადასახადო ხარჯი	29	97
ავტომობილის მოვლის ხარჯი	11	15
კომუნალური ხარჯები	77	81
სულ	2 287	2 533

12. მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მარაგები	4 100	3 718
სათადარიგო მასალები და ნაწილები	31	80
	4 131	3 798

13. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული	61	57
ფული ბანკში	1 026	59
	1 086	116

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

14. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება

	მალაზია	ოფისი	საწყობი	სულ
ღირებულება				
ღირებულება 31 დეკემბერი 2018	-	-	-	-
ფასს 16-ის დანერგვა	1 819 028	-	86 523	1 905 552
1-იანვარი-19	1 819 028	-	86 523	1 905 552
დამატება	3 217 496	-	181 684	3 399 180
ღირებულება 31 დეკემბერი 2019	5 036 525	-	268 207	5 304 732
მოდIFIკაციის ეფექტი	(710 672)	(4 001)	(22 184)	(736 858)
დამატება	4 271 291	76 534	-	4 347 825
ღირებულება 31 დეკემბერი 2020	8 597 144	72 533	246 023	8 915 700
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018	-	-	-	-
ცვეთის დარიცხვა	(965 646)	-	(41 212)	(1 006 858)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2019	(965 646)	-	(41 212)	(1,006 858)
ცვეთის დარიცხვა	(1 420 524)	(6 390)	(63 036)	(1 489 950)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2020	(2 386 170)	(6 390)	(104 247)	(2 496 808)
საბალანსო ღირებულება				
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2018	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019	4 070 879	-	226 996	4 297 874
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2020	6 210 974	66 143	141 776	6 418 892
მოგება-ზარალის ანგარიშგების ფრაგმენტი				
			2020	2019
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა			1 489 950	1 006 858
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი			367 436	162 486
სულ			1 857 385	1 169 344
საწყისი ბალანსი				
			2020	2019
საწყისი ბალანსი			4 330 011	1 905 552
მოდIFIკაციის ეფექტი			(736 858)	-
დამატება			4 347 825	3 399 180
დაგროვილი პროცენტი			367 436	162 486
გადახდა			(1 356 086)	(1 154 895)
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი			779 391	17 689
საბოლოო ბალანსი			7 731 719	4 330 011
31 დეკემბერი, 2020 31 დეკემბერი, 2019 31 დეკემბერი, 2018				
მიმდინარე	1 988 642	1 260 277	-	-
გრძელვადიანი	5 743 078	3 069 734	-	-
სულ საიჯარო ვალდებულება	7 731 719	4 330 011	-	-

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

15. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	ავტომობილი	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ღირებულება 31 დეკემბერი 2018	625	125	114	261	1 125
დამატება	224	242	169	406	1 041
ღირებულება 31 დეკემბერი 2019	849	367	283	667	2 166
დამატება	(263)	(20)	-	435	152
ღირებულება 31 დეკემბერი 2020	586	347	283	1 102	2 318
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018	(131)	(35)	(14)	(31)	(211)
ცვლილება წლის განმავლობაში	107	41	25	36	209
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2019	(238)	(76)	(39)	(67)	(420)
ცვლილება წლის განმავლობაში	(49)	42	28	284	305
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2020	(189)	(118)	(67)	(351)	(725)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2018	494	90	100	230	914
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019	611	291	244	600	1 746
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2020	397	229	216	751	1 593

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია მოხმარებაში არსებული სრულად გაცვეთილი აქტივები

16. გაცემული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	ვადიანობა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
Geo Impex LLC	10.50%	USD	Nov-22	1,674	1349
D and G	10.50%	USD	Mar-24	2,329	1892
D and G	10.50%	EUR	Mar-24	656	494
Geo Impex LLC	11%	GEL	Apr-20	253	229
Geo Impex LLC	11%	GEL	May-20	105	95
D and G	11%	GEL	Dec-20	304	266
Geo Impex LLC	11%	GEL	Oct-20	41	37
Geo Impex LLC	0%	GEL	Dec-20	44	44
Geo Impex LLC	0%	USD	Dec-20	1	1
Geo Impex LLC	0%	GEL	Dec-20	33	33
გრძელვადიანი ნაწილი				3 900	2 902
მიმდინარე ნაწილი				1 538	1 538
სულ გაცემული სესხები				5 439	4 440

სესხები გაიცემა კომპანიის დაკავშირებული მხარეების სუბიექტებზე. ყველა სესხი დაფარულია დაფარვის ვადაში, გაუფასურების ზარალი არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

17. მიღებული სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი 2019	ვადიანობა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი სესხები					
Cartu Bank loan 1	ლარი	11.00%	Jan-19	2	2
TBC Bank Loan 1	ევრო	Variable	Dec-26	3,181	2,605
TBC Bank Loan 2	ევრო	Variable	Dec-20	3,862	3,081
TBC Bank Loan 3	ევრო	Variable	Jul-21	805	-
სულ მიღებული სესხები				7 849	5 688
მიმდინარე ნაწილი				3 864	3 083
გრძელვადიანი ნაწილი				3 986	2 605
				7 849	5 688

18. საწესდებო კაპიტალი

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 98 და 502 ათას ლარს, შესაბამისად.

2019 წელს გამოცხადდა დივიდენდი 254 ათასი ლარის ოდენობით და გადახდილი იქნა კომპანიის მფლობელებისთვის.

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 163	1 964
გადასახდელი ხელფასები	12	35
	2 175	1 999

20. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში კომპანია იღებს მოთხოვნებს კლიენტებისა და კონტრაგენტებისგან. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაუზღოვებელი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ გათვალისწინებულია.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებულმა მუხლებმა შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და შესწორებები. გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია საგადასახადო ორგანოების განმარტებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიაზე დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ შესაძლოა საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადების გადახდა და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შემოწმების ჩატარება შეუძლიათ სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ბაზირებულია საქართველოში. ვინაიდან ქვეყანაში ბიზნეს-გარემოზე მოქმედი კანონმდებლობა სწრაფად იცვლება, პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში უარყოფითმა ცვლილებებმა შეიძლება რისკქვეშ დააყენოს კომპანიის აქტივები და ოპერაციები.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ეს და სხვა სამართლებრივი და ფისკალური ბარიერები ამჟამად საქართველოში მოქმედ კომპანიებისათვის პოტენციური ხელშემშლელი ფაქტორებია. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

გარდა ამისა, 2020 წლის დასაწყისიდან დაიწყო ახალი კორონავირუსული დაავადების (COVID-19) გავრცელება მთელ მსოფლიოში, რომელიც სწრაფად გავრცელდა, რის შედეგადაც 2020 წლის მარტში მას მიენიჭა პანდემიის სტატუსი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ. ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად ქვეყნების მიერ მიღებულმა ზომებმა გამოიწვია მრავალი კომპანიების ოპერაციების შეწყვეტა ან ხელის შეშლა და ასევე მიღებულმა ზომებმა დიდი გავლენა იქონია გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. გამომდინარე იქედან რომ სიტუაცია სწრაფად ვითარდება და იცვლება, ამან შეიძლება გავლენა იქონიოს მრავალი კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე სხვადასხვა სექტორში, რაც შესაძლებელია გამოიხატოს, თუმცა არ შემოიფარგლოს ისეთი გავლენებით როგორებიცაა ბიზნეს ოპერაციების შეფერხება, საქონლის მომწოდებლებისგან შეფერხება, წარმოების შეფერხება ან ობიექტების დახურვა, პერსონალის კარანტინი, პროდუქტებზე შემცირებული მოთხოვნა და დაფინანსების მოპოვების გაზრდილი სირთულეები. ამასთან, კომპანიამ შეიძლება განიცადოს COVID-19-ის უფრო და უფრო ფართო ეფექტები გლობალურ ეკონომიკასა და მთავარ ფინანსურ ბაზრებზე მისი უარყოფითი გავლენის შედეგად. COVID-19-ის ეფექტის მნიშვნელობა

კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე დიდწილად დამოკიდებულია პანდემიის მოქმედების ხანგრძლივობასა და სიხშირეზე მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე.

კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური შოკი და პანდემიის მომავალი განვითარებისა და საქართველოს ეკონომიკაზე მისი გავლენის მოლოდინები ბოლო დღეების განმავლობაში სავალუტო ბაზარზე გაზრდილ მერყეობაშიც აისახა რამაც გამოიწვია სხვა ვალუტებთან მიმართებაში ქართული ლარის გაუფასურება.

21. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს კომპანიის მფლობელებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. ხშირ შემთხვევაში, დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიას გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

31 დეკემბერი 2020

	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტები	სულ
გაცემული სესხები	-	-	-
გადახდილი დივიდენდი	36	-	36
ხელფასი	106	781	888
სხვა განაცემები	6	26	32
მივლინების ხარჯები	7	15	22
ავტომობილის იჯარა	-	-	-

31 დეკემბერი 2019

	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტები	სულ
გაცემული სესხები	-	4 440	4 440
გადახდილი დივიდენდი	254	-	254
ხელფასი	258	-	258
სხვა განაცემები	46	-	46
მივლინების ხარჯები	26	-	26
ავტომობილის იჯარა	-	11	11

22. რეალური ღირებულების განსაზღვრა

ხელმძღვანელობის აზრით, ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათ სამართლიან ღირებულებასთანაა მიახლოებული, მათი მოკლევადიანი პირობებიდან გამომდინარე. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რეალური ღირებულების შეფასების მესამე დონის კატეგორიას მიეკუთვნება.

მესამე დონის კატეგორიებში შესული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები დგინდება საყოველთაოდ აღიარებული ფასწარმოქმნის მოდელებით, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე, ძირითად მონაცემებად კონტრაგენტების საკრედიტო რისკის ამსახველი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

23. ფინანსური ინსტრუმენტები

კაპიტალის მართვა

კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავედროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ცალკეული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) მინუს ფული და ფულის ექვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ცალკეული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში პლუს წმინდა ვალი.

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სულ სესხები	7 849	5 688
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 175	1 999
წმინდა სესხები	10 024	7 687
სულ კაპიტალი	1 552	2 977
წმინდა სესხების თანაფარდობა კაპიტალთან	646%	257%

საბაზრო რისკი

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, მას ძირითადად ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების რისკი ეკისრება. კომპანია ამ რისკის სამართავად მონიტორინგს უკეთებს უცხოურ ვალუტაში საბალანსო პოზიციას. კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო:

	31 დეკემბერი 2020	
	USD USD 1 = 3.2766 GEL	EUR EUR 1 = 4.0233 GEL
ფინანსური აქტივები		
გაცემული სესხები	1 078	163
ფული და ფულის ექვივალენტები	3	-
სულ ფინანსური აქტივები	1 081	163
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	-	1 751
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	400
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	2 151
სულ წმინდა პოზიცია	1 081	(1 988)

	31 დეკემბერი 2019	
	USD	EUR
	USD 1 = 2.8677 GEL	EUR 1 = 3.2095 GEL
ფინანსური აქტივები		
გაცემული სესხები	1 131	154
ფული და ფულის ექვივალენტები	1	10
სულ ფინანსური აქტივები	1 132	164
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	-	1 772
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	525	2
სულ ფინანსური ვალდებულებები	525	1 774
სულ წმინდა პოზიცია	607	(1 610)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 10%-ით გამვირება/გაიაფების მიმართ 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

2020 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	20%	- 20%	20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	(216)	216	(398)	398

2019 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	20%	- 20%	20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	121	(121)	322	(322)

საკრედიტო რისკის მართვა

კომპანიას ეკისრება საკრედიტო რისკი, რომელიც არის იმის რისკი, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს სრულად მოთხოვნის დაფარვას ვადის დადგომისას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს ამ რისკს, ძირითადად შედგება სავაჭრო მოთხოვნებისა და ფულისა და ფულის ექვივალენტებისგან. კომპანიაში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ საქონელი მიეწოდოს ისეთ კლიენტებს, რომელთაც სათანადო საკრედიტო ისტორია გააჩნიათ. სხვა შემთხვევაში, შემოდის გადახდის ალტერნატიული პროცედურები (მაგალითად, წინასწარ გადახდის). სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ამოღებაზე ეკონომიკური ფაქტორები მოქმედებს, ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიას ზარალის დიდი რისკი არ ემუქრება. კომპანიის მაქსიმალური

საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად მერყეობს და დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ, აგრეთვე ზოგად საბაზრო ეკონომიკის რისკებზე.

საპროცენტო რისკი

კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ვადიანობის ცხრილში ასახული თანხები არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ცალკეული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხებისგან, რადგან ცალკეული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხა ეფუძნება დისკონტირებული ფულად ნაკადებს.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2020 წლის 31 დეკემბერი:

	0 – 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 175	-	2 175
აღებული სესხები	3 864	3 986	7 849
	6 039	3 986	10 024

2019 წლის 31 დეკემბერი:

	0 – 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 999	0	1 999
აღებული სესხები	3 083	2 605	5 688
	5 082	2 605	7 687

24. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

ანგარიშგების თარიღის შემდგომ, COVID-19-ის პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე და ქვეყნის გარკვეულ მაჩვენებლებზე. მომავალზე გაუარესებულმა შეხედულებამ გამოიწვია სავალუტო ბაზრის არამდგრადობა რაც გამოიხატა ლარის მნიშვნელოვან გაუფასურებაში დოლართან და ევროსთან მიმართებაში.

მიუხედავად არსებული გაურკვევლობისა, საქართველოს ეროვნული ბანკი იღებს სხვადასხვა ზომებს ინდუსტრიაზე და ზოგადად ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, თუმცა ხელმძღვანელობა წინასწარ ვერ ახდენს ამ ზომების შედეგების წინასწარ განსაზღვრას.

საანგარიშგებო წლის შემდეგ სხვა მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.



SANNA LLC I/N 404508154
Tbilisi, 0112 Georgia
158. D.Agmashenebeli Ave.,
Tel: +995322910169

შპს „სანა“ ს/კ 404508154
საქართველო, 0112 ქ.თბილისი,
დ.აღმაშენებლის გამზ. 158.
ტელ.: +995322910169

შპს სანა

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

შპს „სანა“

მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის დასრულებული წლისთვის

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, ასახავს ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ყველა ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიცაა კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა, საკადრო პოლიტიკა, განვლილი მიღწევები, სამომავლო გეგმები და გამოწვევები. ამასთან ერთად გიზიარებთ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან საკმაოდ მნიშვნელოვან სირთულეებს კომპანიის ოპერირებისთვის.

საქმიანობის მიმოხილვა

საქმიანობის აღწერა

შპს „სანნა“ დაფუძნდა 2016 წელს, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო სკანდინავიური ბრენდის „იუსკი“-ს ფრენჩაიზს საქართველოში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ევროპული ხარისხის და დიზაინის პროდუქციის იმპორტი და რეალიზაცია. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100% -იანი წილის მფლობელია დავით ოტიაშვილი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „იუსკი“ საქართველოში აერთიანებს 6 (ექვსი) ფილიალს:

- ქ.თბილისი - აღმაშენებლის ხეივანი N 10;
- ქ.თბილისი - რუსთაველის გამზირი 2/4, სავაჭრო ცენტრი „გალერეა თბილისი“;
- ქ.თბილისი - ხიზაბავრის ქუჩა, N 1; სავაჭრო ცენტრი „სითი მოლი“;
- ქ.თბილისი - დავით აღმაშენებლის გამზირი, N 158;
- ქ.თბილისი - ვაჟა ფშაველას ქუჩა, N 70, სავაჭრო ცენტრი „სითი მოლი“;
- ქ.ბათუმი - ზ.გორგილაძის 88, სავაჭრო ცენტრი „ბათუმი მოლი“.

მომხმარებელს „იუსკი“-ს მაღაზიათა ქსელში შეუძლია შეიძინოს სახლის და საზაფხულო ავეჯი, მატრასი, ტექსტილი, სახლის, სამზარეულოს, სააბაზანოს და საახალწლო აქსესუარები და მრავალი სხვა.


სამომავლო მიზნები

- ქართულ ბაზარზე პოზიციონირების გამყარება;
- ქსელის გაფართოება;
- მომხმარებლებზე ორიენტირებულობის გაძლიერება;
- ასორტიმენტის ოპტიმიზაცია;

- ზოგიერთი კატეგორიის გაფართოება;
- ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია.

კომპანიის სტრუქტურა

იუსკის ორგანიზაციული სტრუქტურა ითვალისწინებს მართვის თანამედროვე პრინციპებს. ის მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე. ნებისმიერი სამსახურისთვის ცაკლე ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისთვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური, მატერიალური თუ დროის რესურსი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულია 125 თანამშრომელი. ორგანიზაციული სტრუქტურა კი ასე გამოიყურება:



სოციალური პასუხისმგებლობა

იუსკის მთავარ ფასეულობას წარმოადგენს ხარისხი და მომხმარებლებზე ორიენტირებულობა. კომპანიის გრძელვადიანი წარმატების გარანტია კი მისი პასუხისმგებლობაა, როგორც მომხმარებლების, ასევე კომპანიის პერსონალის მიმართ.

იუსკი თანამშრომლებს სთავაზობს სტაბილურ სამუშაო პირობებს და კარიერული განვითარების შესაძლებლობებს. კომპანია მოქმედებს შრომის კოდექსის ნორმების შესაბამისად, იცავს დასაქმებულთა უფლებებს და უსაფრთხოების ნორმებს. ასევე კომპანია თანამშრომლებს უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაზღვევით. მაღალია პერსონალის ჩართულობა კომპანიის ბიზნეს პროცესებში, რაც ხელს უწყობს მოტივაციისა და ეფექტურობის ამაღლებას.

ჩვენი გუნდი

შპს „სანა“-ში 2020 წლის ბოლოსთვის დასაქმებული იყო 125 თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მოწესრიგებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევექმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისთვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა. კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

რისკები და გამოწვევები

კანონთან შესაბამისობა

საქართველოს ეკონომიკა არის განვითარებადი, შესაბამისად კანონმდებლობაც პერიოდულად იცვლება, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ცალკეულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ხარჯების ზრდაც. გამომდინარე აქედან კომპანია უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს ყოველი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგს. იურიდიული და ფინანსური დეპარტამენტები კონსულტანტებთან ერთად უწყვენ მონიტორინგს საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებს და აკონტროლებენ მასთან შესაბამისობას.

საოპერაციო რისკი

კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური კადრები. წარმატება დიდწილად დამოკიდებულია კვალიფიციურ პერსონალზე, მათი უნარების ამაღლებაზე და გრძელვადიან თანამშრომლობაზე. სწორედ ამიტომ ორგანიზაციაში შემუშავებულია საბონუსე სქემა ყველა დეპარტამენტისთვის, რასაც თავისი წვლილი შეაქვს გუნდურობის, მოტივაციისა და კორპორატიული სულისკვეთების ამაღლებაში. ასევე მნიშვნელოვანია სამუშაო პირობების გაუმჯობესება, რაც გამონაკლის შემთხვევებში რთული შესასრულებელია კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

მაგ: სასაქონლო მარაგების ღირსის საათებში მიწოდებით, რადგან სავაჭრო ცენტრების რეგულაციები ზღუდავს პროდუქციის მომარაგების თავისუფლებას, რაც კომპანიისთვის საკმაოდ რთული გამოწვევაა, რადგან დასაქმებულებში იწვევს უკმაყოფილებას და კომპანიიდან დენადობის კოეფიციენტის გაუარესებას.

კომპანიას გააჩნია შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ბიუჯეტი და რესურსები. მენეჯმენტი ადასტურებს, რომ შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების სისტემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსები უმაღლესი პრიორიტეტულობით სარგებლობენ და ყოველთვის ხელმისაწვდომია.

კომპანია ხელმძღვანელობს რა შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების დანერგული სისტემით, ვალდებულებას იღებს, მასზე, რომ მიღებულია ზომები ნებისმიერი სამუშაო პროცესის უსაფრთხოდ გატარებისათვის. დასაქმებულები, კონტრაქტორები, ავტორიზირებული ვიზიტორები, დასაქმებულთა

წარმომადგენლები და სხვა პირები რომლებიც კომპანიის ტერიტორიაზე იმყოფებიან, არიან სრულად დაცული ყოველგვარი საფრთხისაგან.

კომპანიას ჰყავს საკმარისი და შესაბამისი კომპეტენციის პერსონალი (დასაქმებულები), რომ იდენტიფიცირება მოახდინონ, აღმოფხვრან და აკონტროლონ სამუშაო პროცესებთან დაკავშირებული საფრთხეები და რისკები და სრულად დანერგონ შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემა.

დასაქმებულებს რეგულარულად აცნობს შრომის უსაფრთხოებასთან, საფრთხეებთან და რისკებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და უტარებს შესაბამის ინსტრუქტაჟს, ტრენინგებს და სწავლებებს კანონით გათვალისწინებული პერიოდულობით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. უნდა აღინიშნოს რომ კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკების წინაშე საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე, რადგან იგი წარმომადგენს საცალო სავაჭრო კომპანიას. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები

კომპანია საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად გენერირდება საქართველოში. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. 2020 წლის დასაწყისში გავრცელებულმა პანდემიამ დიდი დარტყმა მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას, რამაც განაპირობა ბიზნესის შეფერხება საქართველოშიც.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება უცხოურ ვალუტაში მოზიდული რესურსებითა და უცხოელ პარტნიორებთან/მომწოდებლებთან თანამშრომლობით. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კომპანიის ძირითადი ხარჯი - იჯარა დამოკიდებულია ასევე გაცვლით კურსზე, რაც ასევე ყოველწლიურად უარყოფით გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მაჩვენებლებზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი


საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშვება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.


კომპანიას არ აქვს გრძელვადიანი ცვლად განაკვეთზე დამოკიდებული სესხები და შესაბამისად არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად.

პანდემიის რისკი


2020 წელს გავრცელებული პანდემიის შემდეგ ბიზნესს სხვა რეალობაში მოუწია მუშაობა. განსაკუთრებით დაზიანდა საცალო ბიზნესი. მაღაზიების პერიოდულად დაკეტვამ დიდი ზიანი მიაყენა ორგანიზაციას. საგრძნობლად გაიზარდა ფინანსური ლიკვიდურობის რისკი.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები







სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი ასახავს რამდენად შეუძლია არსებული რესურსით კომპანიას მოკლე პერიოდში დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები.



აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი ანგარიშდება წმინდა მოგების აქტივებზე შეფარდებით. აღნიშნული კოეფიციენტი ასახავს, კომპანია რამდენად ეფექტურად მართავს თავის აქტივებს. ანუ კომპანიის აქტივები რა მოგებას გამოიმუშავენ.



საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი ანგარიშდება წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან შეფარდებული მიმდინარე ვალდებულებებთან.



მარაგების ბრუნვა ასახავს სურათს, თუ რამდენ დღეში ერთხელ ბრუნავს კომპანიის მარაგი.

ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია ცხადყოფს რომ კომპანია 2018 წელთან შედარებით პროგრესს განიცდის. რეალიზაციები წლიდან წლამდე იზრდება, ხოლო ლიკვიდურობა საგრძნობლად გაუმჯობესებულია.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 24 სექტემბერს.

შპს „სანა“-ს დირექტორი

სოფიო მინდელი

შპს „სანა“-ს ფინანსური დირექტორი


მამუკა საბაშვილი

შპს სანა

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

	შენიშვნა	2020	2019 *Restated
შემოსავალი	5	17 895	22 457
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(9 391)	(13 996)
მთლიანი მოგება		8 505	8 461
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	7	(5 010)	(4 772)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2 287)	(2 610)
ფინანსური ხარჯი		(782)	(806)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	9	(2 272)	(178)
სხვა საოპერაციო შემოსავალი, წმინდა		432	145
ფინანსური შემოსავალი		392	344
მოგება გადასახადებამდე		(1 022)	585
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		(1 022)	585
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		(1 022)	585

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2021 წლის 7 სექტემბერს:




სოფიო მინდელი
დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ათას ლარში

შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 *Restated	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები:</i>			
აქტივის გამოყენების უფლება	10 6 419	4 298	-
ძირითადი საშუალებები	11 1 594	1 746	914
არამატერიალური აქტივები	81	83	36
გაცემული სესხები	12 5 439	4 440	3 215
სულ გრძელვადიანი აქტივები	13 533	10 567	4 165
<i>მიმდინარე აქტივები:</i>			
მარაგები	14 4 131	3 798	3 632
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	155	277	446
წინასწარ გაწეული ხარჯები	3	102	-
საგადასახადო მოთხოვნები	403	224	266
ფული და ფულის ექვივალენტები	15 1 086	116	624
სულ მიმდინარე აქტივები	5 777	4 517	4 968
სულ აქტივები	19 310	15 084	9 133
კაპიტალი და ვალდებულებები			
<i>კაპიტალი:</i>			
საწესდებო კაპიტალი	98	502	502
გაუნაწილებელი მოგება	1 454	2 476	2 144
სულ კაპიტალი	1 552	2 977	2 646
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები:</i>			
ადებული სესხები	7 849	5 688	2 274
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	7 849	5 688	2 274
<i>მიმდინარე ვალდებულებები:</i>			
საიჯარო ვალდებულებები	16 7 732	4 330	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10 2 175	1 999	1 888
ავანსები	3	89	350
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
ადებული სესხები	17 -	-	1 974
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	9 909	6 418	4 212
სულ ვალდებულებები	17 758	12 106	6 486
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	19 310	15 084	9 133

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2021 წლის 7 სექტემბერს:



 სოფიო მინდელი
 დირექტორი

შპს სანა

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ათას ლარში

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2018		502	2 144	2 646
სულ წლის სრული შემოსავალი		-	617	617
გადაანგარიშგების ეფექტი		-	(32)	(32)
გადახდილი დივიდენდები		-	(254)	(254)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019		502	2 476	2 977
სულ წლის სრული შემოსავალი		-	(1 022)	(1 022)
კაპიტალის შემცირება		404	-	404
გადახდილი დივიდენდები		-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2020		98	1 454	1 552

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2021 წლის 7 სექტემბერს;


 სოფიო მინდელი
 დირექტორი


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

შენიშვნა	2020	2019 *Restated
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება გადასახადების მერე	(1 022)	585
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1 806	1 223
მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოთხოვნების რეზერვი	-	-
საკურსო ზარალი/მოგება	2 272	178
საპროცენტო ხარჯი	782	482
საპროცენტო შემოსავალი	(394)	(344)
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	3 444	2 123
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	122	(169)
წინასწარ გაწეული ხარჯების ზრდა	99	102
მარაგების ზრდა	(333)	166
საგადასახადო მოთხოვნების ზრდა	(178)	(42)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა	(378)	(44)
მიღებული ავანსების ზრდა	(87)	261
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფული	2 690	2 397
გადახდილი პროცენტი	(414)	(482)
მიღებული პროცენტი	394	47
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფული	2 669	1 963
შემოძინებული ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		
კაპიტალის შემცირება	(404)	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	(9)	(54)
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები	(1 039)	(1 041)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	(394)	-
გაცემული სესხი	-	710
გამოყენებული ფული საინვესტიციო საქმიანობაში	(960)	(385)
ფულის ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის დაფარვა	(989)	(992)
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯის დაფარვა	(367)	(162)
სესხების აღებით მიღებული თანხები	1 907	(9 763)
სესხების გადახდა	(1 248)	8 579
გადახდილი დივიდენდი	-	254
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფული	697	(2 085)
წმინა ზრდა ფულის და ფულის ექვივალენტებში	1 012	(507)
ფული და ფულის ექვივალენტების ნაშთი წლის დასაწყისში	116	624
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(42)	(1)
ფული და ფულის ექვივალენტების ნაშთი წლის ბოლოს	1 086	116

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2021 წლის 7 სექტემბერს;


 სოფიო მინდელი
 დირექტორი

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ცალკეული ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ცალკეული ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ცალკეული ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ცალკეული ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ცალკეულ ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობის ცალკეულ ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს "ემუარენს ენდ ქონსალტინგ გრუფის" სახელით
კახაბერ თეთრუაშვილი

2021 წლის 7 სექტემბერს
თბილისი, საქართველო